ხელშეკრულება N R/16
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

16.05.2017წ.

შპს "ბლექ სი არენა ჯორჯია", შემდგომში მოხსენიებული, როგორც "შემსყიდველი", წარმოდგენილი დირექტორის ანა კავლელიშვილის სახით, და **სს „გუდვილი"** შემდგომში მოხსენიებული, "მიმწოდებელი", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის გიორგი ხაბაშვილის სახით, მოქმედნი საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - „**ხელშეკრულება**") შემდეგზე:

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებშიდა ფორმით.
4. „მხარე" ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს.
5. „მხარეები" ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს ერთად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გავაფორმეთ წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

<u>მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები</u>

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში ხელშეკრულება) - ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტში მითითებულ თანხას, რომელიც შემსყიდველმა უნდა გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3 „შემსყიდველი" ნიშნავს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული სახსრებით განმახორციელებელ პირს.

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

<u>მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი</u>

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისგან ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში ბლექ სი არენას საკონცერტო დარბაზში 2018 წლის

19 მაისის-ის Ennio Morricone-s ღონისძიებებისათვის, (CPV15800000) სხვადასხვა საკვები პროდუქციის შესყიდვა, დანართი N1-ის შესაბამისად.

2.2 დანართი N1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

მუხლი 3. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. მომსახურების გაწევის და საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2018 წლის 19 მაისისამდე, საქონლის მიწოდების ადგილი: ოზურგეთის რაიონი, სოფელი ნატანები, საკონცერტო დარბაზი „ბლექ სი არენა".

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშკერულების ღირებულება შეადგენს 1960.95 **(ათას ცხრაას სამოცი ლარი და 95 თეთრი) ლარს,** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით. ანგარიშსწორება წარმოებს საზოგადოების საკუთარი შემოსავლების ფარგლებში.

მუხლი 5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

5.1 ანგარიშსწორება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, ფაქტიურად მიწოდებული საქონლისათვის, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

5.3 ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო;

5.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2 მიმწოდებელი პასუხს აგებს მისთვის დაკისრებული ვალდებულებების სათანადო შესრულებისათვის და ვალდებულია აანაზღაუროს მისი ქმედებით დამდგარი ყველა სახის ზიანი.

6.3 მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მას ეკისრება პირგასამტეხლო მიუწოდებელი პროდუქციის ღირებულების 0,02% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.4 იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელზე" დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, „შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „მიმწოდებელს" შესაბამისი პირგასამტეხლო 10%-ის ოდენობით

6.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.6 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
6.7 თუ შემსყიდველი მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6.8 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 7. ხარისხი და გარანტია

7.1 მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონელი უნდა იყოს ხარისხიანი, მიწოდებამდე არ უნდა იყოს ექსპლუატაციაში შესული, არ უნდა გააჩნდეს დეფექტები და ნაკლოვანებები. წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით აწარმოებს ხარვეზის გამოსწორებას.

მუხლი 8. საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის და მიღება_ჩაბარების წესი

8.1 საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.
8.2 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით ან უხარისხო (წუნდებული) მიწოდებულ საქონელზე. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი თავისუფლდება ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვალდებულებისაგან.
8.3 საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენას და მიღება-ჩაბარებას უზრუნველყოფს შპს „ბლექ სი არენა ჯორჯიას" – დირექტორის თანაშემწე მარიამ ბიჭიაშვილი.

მუხლი 9. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

9.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ნებისმიერ სადაო საკითხებზე.
9.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) დროულად აცნობოს მიმწოდებელს მიწოდებულ საქონელთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ;
ბ) გადაიხადოს ხელშეკრულების ღირებულება.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1 წინამდებარე ხელშეკრულებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მიმწოდებელისა და/ან შემსყიდველის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.2 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის 10 დღეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

<u>მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა</u>

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებით წარმოშობილი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

<u>მუხლი 12. ხელშეკრულების დადების საფუძველი.</u>

12.1. ხელშეკრულების დადების საფუძველი არის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა.თ" ქვეპუნქტი და „შპს „ბლექ სი არენა ჯორჯიას" მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის" 2017 წლის 12 ივლისის N342 დადგენილება.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს.

13.2 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით.

13.3 მხარეები უფლებამოსილნი არიან მომალონ წინამდებარე ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა რეკვიზიტები:

შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია"	**სს „გუდვილი"**
ს/კ: 405158804	**ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზ. N1**
მის: სოფ. ნატანები (შეკვეთილი)	**ს/კ: 206343991**
სს „თი ბი სი" ბანკი	**ს.ს. „თიბისი ბანკი"**
საბანკო კოდი: TBCBGE22	**ბანკის კოდი: TBCBGE22**
ა/ა: GE37TB7894634050100002	**ა/ა: GE61TB3615336020100004**
დირექტორი	**გენერალური დირექტორი**
---	---
ანა კავლელიშვილი	**გიორგი ხაბაშვილი**

<u>დანართი N1.</u>

N	დასახელება	რაოდენობა (ცალი)	ერთ.ფასი	სულ თანხა
1	M&M დრაჟე მიწის თხილით 70გრ	40	1.95	78.00
2	G&G - ტყის თაფლი	10	19.79	197.90
3	EDEKA - ორცხობილა თხილით	15	8.79	131.85
4	EDEKA - ნამცხვარი ნუშით	20	11.99	239.80
5	BORGGREVE - ნამცხვარი შოკოლადით	40	7.49	299.60
6	NESCAFE - ხსნადი ყავა გოლდი 47.5 გრ	30	6.49	194.70
7	TWIX - შოკოლადი ტვიქსი 220 გრ.	20	5.15	103.00
8	MARS - შოკოლადი (შეკვრა 5ც. 202.5გრ)	20	5.15	103.00
9	SNICKERS - შოკოლადი (შეკვრა 5ც. 200გრ)	20	5.15	103.00
10	MILKIWAY - რძიანი შოკოლადი 5ც 130 გრ.	20	3.75	75.00
11	BAUNTY - შოკოლადი 7ც 192გრ	20	5.15	103.00
12	TWININGS - ჩაი „ინგლიშ ბრექვასტი“ 25ც	10	9.49	94.90
13	GREENFIELD - ჩაის სასმელი 1.5 გრ 25ც	10	4.69	46.90
14	GREENFIELD - მწვანე ჩაი მელისა	5	4.69	23.45
15	GREENFIELD - მწვანე ჩაი ჟასმინ დრიმ	10	4.69	46.90
16	GREENFIELD - ჩაი ჟოლოს არომატით	5	4.59	22.95
17	საჩინო - ნიგვზის და ტხილის ჩურჩხელა	10	9.70	97.00
სულ ღირებულება დღგ-ს ჩათვლით:				1960.95

მხარეთა რეკვიზიტები:

შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“	სს „გუდვილი“
ს/კ: 405158804	ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზ. N1
მის: სოფ. ნატანები (შეკვეთილი)	ს/კ: 206343991
სს „თი ბი სი“ ბანკი	ს.ს. „თიბისი ბანკი“
საბანკო კოდი: TBCBGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE37TB7894634050100002	ა/ა: **GE61TB3615336020100004**
დირექტორი	

ანა კავლელიშვილი	
	გენერალური დირექტორი

	გიორგი ხაბაშვილი